ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



90 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №15 (7092) 3 ივლისი 2023 წელი

იმერეთის მე-14 საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დასრულდა...

საფესტივალო სპექტაკლების ჩვენება, ფესტივალის გახსნიდან 18 დღის შემდეგ—30 ივნისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სახალხო თეატრის სპექტაკლის „ფაბრიკის გოგონების“ წარმოდგენით დასრულდა.

იმ დღეს, ძველი თეატრალებიც კი იშვიათად იხსენებდნენ ფაქტებს, როცა ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული

თეატრს ამდენი მაყურებელი, რომ სტუმრობდა... ათასკაციან დარბაზში ნემსის ჩასავარდნი ადგილიც კი აღარ იყო დარჩენილი, უფრო მეტიც, თერჯოლელთა ორასამდე გულშემატკივარი შენობაშიც ველარ შევიდა...

სპექტაკლი, რომელიც რეჟისორმა, ჩვენმა მამუკა ცერცვაძემ დადგა წარმატებული გამოვიდა... თერჯოლელმა მსახიობებმა კი ბრწყინვალედ გაართვეს თავი სოციალურ თემაზე შექმნილი პიესის ხორცშესასხმელად რეჟისორის ჩანაფიქრს... წარმოდგენის ფინალის შემდეგ, დარბაზში გასაოცარი ემოციური განწყობა შეიქმნა: ოვაციები, მქუხარე ტაში, ყვავილები, მილოცვები სცენაზე...

ყველას სახეზე დიდი კმაყოფილება იყო აღბეჭდილი... თეატრის შენობა ამაღლებული განწყობით დავტოვეთ ჩვენ ყველამ—რეჟისორმა, მსახიობებმა, მაყურებლებმა, ამ სპექტაკლის ორგანიზატორებმა და სულისჩამდგმელმა —მუნიციპალიტეტის მერმა, მისმა მოადგილემ და მერიის სამსახურების უფროსებმა.

როგორც მეორე დღეს, ფესტივალის საზეიმო დახურვაზე გამოჩნდა, სპექტაკლით კმაყოფილი დარჩენილა პროფესიული ჟიურიც...

თერჯოლის სახალხო თეატრისათვის დიდი აღიარებაა, რომ მესხიშვილის თეატრის სცენაზე პირველად ფეხდადგმული ლიზი მეფარიძე ამ ჟიურის გადაწყვეტილებით გამარჯვებული გახდა ნომინაციაში. „საუკეთესო ახალგაზრდა ქალი მსახიობი“...

ეს მთელი თეატრალური დასის, მთელი მუნიციპალიტეტის გამარჯვებაა...

გილოცავთ!!!

ფესტივალისა და ჩვენი თეატრის შესახებ დაწვრილებით მომავალ ნომერში, რომელიც მიმდინარე წლის 15 აგვისტოს გამოვა.

საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების მნიშვნელოვანი წარმატება!

მართალია, საქართველოს ნაკრებმა ნახევარფინალში გასასვლელად, მეოთხედფინალურ მატჩში, პენალტების სერიაში მარცხი განიცადა, მაგრამ ჩვენი ბიჭების გამოსვლა ამ ჩემპიონატზე, კერძოდ, მათი მეოთხედფინალში გასვლა მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

☞7

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

ქალაქ თერჯოლის №3 საბავშვო ბაღის მშენებლობაზე...

ამ დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატ ელისო მურადაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელ მაია თორთლაძესთან ერთად ქ. თერჯოლის №3 საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა, დეტალურად გაეცნო პროექტის მიმდინარეობას და სამუშაოების ხარისხისა და ვადების დაცვის შესახებ ისაუბრა.

პროექტის ფარგლებში 120 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი აშენდა, რომელიც ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა და აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით. ამ დროისთვის შიდა სივრცის მოპირკეთება და ეზოს კეთილმოწყობა მიმდინარეობს.

აღნიშნული პროექტი, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება.

კოოპერატივ „ბილბერის“ მოცვის პლანტაცია ეწერში ☞3

ნახევარი საუკუნე ხელმძღვანელად... ☞4

ზაფხული მოვიდა, მოგზაურობის მოყვარულთა ტურისტული ზაფხული... ☞6

შემაჯამებელი ზეიმი ეწრის ბაღში ☞4,5

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

შეხვედრა ახალგაზრდობასთან...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ რობაქიძის ინიციატივითა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით ახალგაზრდებთან შეხვედრა გაიმართა.

აღნიშნულ შეხვედრას ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო მურადაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ქეთევან შეყრილაძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ოქრუაძე და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ღონისძიების მიზანი იყო მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის მაქსიმალური ხელშეწყობა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა ახალგაზრდებს სამომავლო გეგმები გააცნო, ასევე ისაუბრეს არსებულ გამოწვევებზე, მათი დაძლევის გზებზე, ახალგაზრდულ ინტერესებსა და საჭიროებებზე.

„ძალიან გულთბილი შეხვედრა გვქონდა ახალგაზრდებთან. მახარებს თითოეული მათგანის გულწრფელი და მეგობრული დამოკიდებულება, სწავლისადმი შემართება და მოტივაცია. მნიშვნელოვანია მათი ხედვა თერჯოლის თვითმმართველობის განხორციელებაში. ჩვენი შეხვედრები არ არის სიმბოლური ხასიათის, არამედ ვიქნებით შედეგზე ორიენტირებულნი. მათი ინიციატივების გათვალისწინებით მოხდება გარკვეული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რათა ახალგაზრდებმა მოახერხონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური ჩართულობა.“—თქვა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ.

ახალგაზრდებმა პრიორიტეტად მუნიციპალიტეტში ლიტერატურული საღამოების, მათთვის მნიშვნელოვან თემებზე სალონური საუბრების, კულტურული და სპორტული აქტივობების, თეატრალური დღეების ჩატარება, ასევე ბიბლიოთეკების განახლება დაასახელეს.

დაინტერესების შემთხვევაში ახალგაზრდებს აქვთ საშუალება ჩაერთონ საკუთარი მუნიციპალიტეტის ყოველდღიურობაში და ყველა იმ პროექტის შესახებ მიიღონ დეტალური ინფორმაცია, რომელიც 2023 წელს არის დაგეგმილი.

როგორც ხელმძღვანელმა პირებმა აღნიშნეს, ასეთი შეხვედრები პერიოდულად გაიმართება, მოისმენენ მათ ინიციატივებსა და რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებული იქნება შემდგომ სამოქმედო გეგმაში.

ოლიმპიზმის საერთაშორისო დღე თერჯოლაში

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, 23 ივნისს, მსოფლიოში ოლიმპიზმის საერთაშორისო დღე, ყოველწლიურად 1948 წლიდან აღინიშნება.

ოლიმპიზმის დღე, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ტრადიციული მარათონული გარბენითა და სხვადასხვა სპორტული აქტივობებით აღინიშნა.

მარათონულ გარბენს მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად შეუერთდა.

მოყვარულთა შორის ჩატარდა ტურნირი შაშში, ასევე სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს მცირე პერფორმანსი მხატვრულ ტანვარჯიშში.

ღონისძიების დასასრულს, მონაწილეებს სპეციალური სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

ოლიმპიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობები, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა.

სამუშაო თათბირი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, მოადგილესთან მირზა ქოჩიაშვილთან ერთად, სამსახურებისა და განყოფილებების უფროსებთან, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან და ა(ა)იპის ხელმძღვანელებთან მორიგი სამუშაო თათბირი გამართა.

თათბირზე დაწვრილებით განიხილეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები, რომ-

ლებიც საერთო კრებებზე მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციით ყველა ორგანიზაციული საკითხი გადაწყვეტილია და სამშენებლო სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება. „სოფლის მხარდაჭერის” პროგრამის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს 79 პროექტი განხორციელდება.

ხელმძღვანელმა პირებმა, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისგან დეტალური ინფორმაცია მიიღეს სოფლებში არსებულ ვითარებასა და პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც უახლოეს დროში მოითხოვს რეაგირებას სამსახურების უფროსებისგან. მოისმინეს ინფორმაცია სფეროების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებებისა და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

ჩხარის მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის...

ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური წყალსადენის დებეტის გაზრდის მიზნით, მიმწოდებელი მაგისტრალის და სატუმბი სადგურის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია.

მიმდინარე სამუშაოებს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან, ჯემალ ისაკაძესთან და ნინო ჩხიკვაძესთან, ასევე ჩხარი-ძევრისა და გოგნის მაჟორიტარ დეპუტატთან, მანუჩარ ფანჩულიძესთან ერთად ადგილზე გაეცნო.

„სოფელ ჩხარში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, პრიორიტეტად უწყვეტი წყალმომარაგების საკითხი დასახელდა. ჩვენ დავპირდით, რომ მათი ინტერესების გათვალისწინებით, ერთობლივი ჩართულობით შევძლებდით აღნიშნული პრობლემის მოგვარებას. დღეის მდგომარეობით ცენტრალური წყალსადენის დებეტის გაზრდის მიზნით საჭირო სამუშაოები უკვე დაწყებულია და პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, წყლის სათავე ნაგებობა, მიმწოდებელი მაგისტრალი, სატუმბი სადგური, საქლორატორო და ინდივიდუალური მრიცხველები მოეწყობა, რომლის დასრულების შემდეგ, უწყვეტი წყალმომარაგებით 500-ზე მეტი ოჯახი ისარგებლებს“—განაცხადა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ.

სამუშაო შეხვედრას ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

უფასო კვლევები ოფთალმოლოგიური ცენტრისაგან

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის და დროული დიაგნოსტიკის მიზნით, სამედიცინო ცენტრში „აილაინი“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო ოფთალმოლოგიური კვლევები ჩაუტარდათ.

ამ აქციის ფარგლებში, პაციენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ოფთალმოლოგიური მომსახურება მიეღოთ. კერძოდ, თვალის ულტრაბგერითი გამოკვლევა: ვიზომეტრია, რეფრაქტრომეტრია, უკონტაქტო ტონომეტრია, ბიომიკროსკოპია.

სამედიცინო ცენტრი აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური აპარატურით და გამოირჩევა კვალიფიციური კადრებით. სამედიცინო აქცია მომავალშიც გაგრძელდება და საჭიროების შესაბამისად სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებსაც მოიცავს.

აქცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

თორნიკე დოლაკიძე

სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი...

გალაკტიონი

თერჯოლის პირველი საჯარო სკოლა გასულ წელს დაამთავრა. ვიდრე უმაღლესი სასწავლებლის კარებს შეაღებდა, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა განიზრახა ჯერ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიეღო ჯარისკაცული წრთობა, გამოემუშავებინა მებრძოლის ჩვევები, დაუფლებოდა თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებს.



პარალელურად განაგრძობდა საქართველოს ისტორიის შესწავლას, ეუფლებოდა ინგლისურ ენას...

წლის განმავლობაში ხელფასიდან შეგროვილი თანხით იძენდა სასურველ წიგნებს და ხარბად ეწაფებოდა უცხოელ კლასიკოსთა ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

ახლახან თორნიკეს მშობლებმა შვილის სამხედრო ნაწილიდან სამადლობელი ბარათი მიიღეს, რომლის ტექსტსაც უცვლელად ვთავაზობთ მკითხველს:

„ღრმად პატივცემულო ქალბატონო თეა და ბატონო გელა,

მინდა გულწრფელი მადლობა გითხრათ თქვენი შვილის, თორნიკე დოლაკიძის, მიერ სამშობლოს წინაშე საკუთარი სამსახურეობრივი მოვალეობის სისტემატურად პირნათლად და ბრწყინვალედ შესრულებისათვის, მის მიერ საკუთარი სტატუსის სწორად აღქმისა და სამსახურისადმი ბოლომდე ღრმა პატივისცემით დამოკიდებულებისათვის, სამხედრო ფიცისა და მოვალეობის ერთგულებისათვის. ჩემთვის განსაკუთრებული პატივია ვიყო ისეთი ჯარისკაცის ხელმძღვანელი, როგორიც თქვენი შვილია. იგი გამორჩეულია პიროვნული თვისებებითა და საქმისადმი დამოკიდებულებით. ჩვენ ვართ თანამებრძოლები და ერთად გვიჭირავს ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, დემოკრატიისა და უსაფრთხოების დროშა. მე ღრმად მწამს, რომ მას უყვარს თავისი ქვეყანა და მზად არის ყოველთვის ემსახუროს და დაიცვას ის. თქვენი როლი კი ამ ყველაფერში ძალიან დიდი და ფასდაუდებელია, თქვენ აღზარდეთ ის ასეთ საამაყო შვილად, რომელიც ასახელებს ოჯახს, ასახელებს ჩვენს სამშობლოს და სწორედ თქვენვე გეკუთვნით ამ ღვაწლისათვის ღრმა პატივისცემა და მადლიერება ჩემგან და სპეციალური ოპერაციების ძალებისაგან.

პატივისცემით,

სპეციალური ოპერაციების ძალების უზრუნველყოფის ასეულის მეთაური კაპიტანი ჯანსუღ ერაგია“.

რედაქციისაგან: ქალბატონო თეა და ბატონო გელა.

გულითადად გილოცავთ სამხედრო უწყების მიერ თქვენი შვილისადმი გამოხატულ მადლიერებას, გილოცავთ მის დადებით შეფასებას და ვიზიარებთ თქვენს სიხარულს.

ეს ბედნიერებაა.

უმრავლოს ჩვენს ქვეყანას წიგნიერი, განათლებული, მამაცი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული შვილები.

„თერჯოლა“

კარგი სიტყვა კარგ ადამიანზე

ნოდო: ჩემი საქართველო აქ არის...

ნოდო, იგივე ნოდარ გაბეხაძე, ერთი ჩვეულებრივი თერჯოლელი ახალგაზრდა კაცია. მართალია კოშკები არ აუშენებია, მაგრამ ცხოვრების განვლილ პერიოდში უკვე შეძლო დაემსახურებია როგორც მეზობელ-ახლობლების, ისე ნაცნობ-მეგობრების პატივისცემა და სიყვარული. ნოდარის მშობლებს დიდი ხანია ვიცნობ, როგორც მყარი ტრადიციული ქართული ოჯახის მესაჭეებს, საზოგადოებისათვის სასარგებლო და ავტორიტეტულ პიროვნებებს. ნოდოს დედა ქალბატონი იზო სალუქაშვილი პედაგოგია. ათეულობით წლებია ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლაში ისტორიას ასწავლის, სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობს მოსწავლეებსა და პედკოლექტივში.

მამა ელგუჯა გაბეხაძე ასევე უმაღლესდამთავრებულია. პენსიაში გასვლამდე საპასუხისმგებლო ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა, ზრუნვას არ აკლებდა საქმეს და საკეთებელს. სამსახურის პარალელურად ამ გამრჯე ადამიანებს, საათივით აწყობილი მეურნეობა ჰქონდათ, აქვთ ახლაც და რა გასაკვირია თუ შვილებიც შრომისმოყვარეებად, საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანებად აღზარდეს. უფროსი შვილი ბექა და ქალიშვილი ნათია თბილისში ცხოვრობენ, ორივეს კარგი ოჯახები აქვთ, ჯერჯერობით 2-2 შვილს უზრდიან მამულს. ნოდო, როგორც ყველაზე უმცროსი და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დაუწერელი საოჯახო კანონებით, მშობლებთანაა და როგორც თავად მითხრა საუბარში, მამა-პაპურ კერაზე ფიქრობს ოჯახის შექმნას და იმ ტრადიციების გაგრძელებას, რომლებითაც აქამდე მოვიდა გაბეხაძეების გვარი. ეგეც რომ არ იყოს, ნოდოს ნოსტალგია სჭირს, როგორიც ქართველების უმეტესობას საერთოდ, მშობლიური თერჯოლა მისთვის სისხლი სისხლთაგანია და ხორცი ხორცთაგანი, მის გარეშე ცხოვრება ვერც წარმოუდგენია. საუბარში უცხოეთში წასვლაზე გადავუკარი სიტყვა, ქართველ ემიგრანტთა ნაკადი არ წყდება, ლამის ქვეყანაში შრომისუნარიანთა დეფიციტი შეიქმნას, შენც ხომ არ გიფიქრია „ჩემოდნის ჩალაგება“-მეთქი, ვკითხე და სახეზე შევატყვე, ძლიერ ვატკინე გული. სად უნდა წავიდე, ამ ზღაპრული მიწა-წყლის პატრონი, მითხრა სევდიანად, გული მტკივა რომ სხვები მიდიან, დედაბუდიანად რომ გადაიხვეწებიან და კაცმა არ იცის უკან დაბრუნდებიან თუ არა. მერედა ისიც ხომ გაგიგიათ მრევლისგან დაცლილ და „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაესიაო“. რაც შემეხება პირადად მე—საქართველოში, კერძოდ, მშობლიურ თერჯოლაში ვიცხოვრებ, აქ შევქმნი ოჯახს და შვილებსაც საუკეთესო ქართულ ტრადიციებზე აღვზრდი. სხვაგან ვერ ვიქნები სულიერად მშვიდად, რადგან „ჩემი საქართველო აქ არისო“.

პროფესიაც ისეთი აქვს ნოდოს, სოფლად მაცხოვრებლებს რომ გამოადგება—თავისი საქმიანობით დაეხმარება მათ სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მეცხოველეობის განვითარებაში. იგი ზოოვეტერინარია სპეციალობით. გარდა კონსულტაციებისა, პირუტყვის დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, თავაზობს მათ საამისოდ თანამედროვე ეფექტურ პრეპარატებს. მეგობართან ერთად ვეტაფთიაქი აქვს გახსნილი მეზობელ რაიონში, რომელიც კვალიფიცური და კულტურული მომსახურების თვალსაზრისით სანიმუშოა სისტემაში. მომხმარებელთა მიერ, სწორედ აქ მიღებული თავაზიანობისა და გულისხმიერების მაგალითების გამო, რომლებიც უშუალოდ გაგვიზიარეს, გახდა ნოდო ჩვენი გაზეთის ადრესატი.

თავად არცთუ აღტაცებით შეხვდა ჩვენს გადაწყვეტილებას, აბა ასეთი ჯერ რა გავაკეთე გაზეთში ჩემზე იწერებოდესო. თავმდაბლობა ამშვენებს ადამიანს და ისიც გვჯერა, რომ ნოდარ გაბეხაძე მომავალშიც მრავალგზის ისახელებს თავს, იქნება საზოგადოების ისეთი აქტიური წევრი, როგორებზედაც დგას სრულიად საქართველო.

ი. ერაძე

კოოპერატივ „ბილბერის“ მოცვის პლანტაცია ეწერში

რომელი მცენარეა რომ მისი ნაყოფი სასარგებლო არ იყოს ადამიანისათვის, მაგრამ არის ისეთი ჯიშები, რომელთაც, კვებით ღირებულებასთან ერთად ,სამკურნალო თვისებებიც აქვთ. ერთ-ერთი მათგანია მოცვი, რის გამოც მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში დიდი მოთხოვნილებაა მასზე. ფასიც დიდი აქვს რა თქმა უნდა, 1 კგ-ის ღირებულება, როგორც გვითხრეს საქმეში ჩახედულებმა, 15 დოლარიდან 25 დოლარამდე მერყეობს მოცვის ხარისხისა და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით.

შემთხვევითი არ იყო, რომ რამდენიმე წლის წინათ აჯამეთში მოცვის საჩვენებელი პლანტაცია გააშენეს იმ ვარაუდით, რომ მნახველები დაეინტერესებინათ ამ კულტურით და მის გაშენებას რაიონში ფართო გზა მისცემოდა. მაგრამ ასეთი ენთუზიასტები ერთეულები თუ აღმოჩნდნენ, უფრო იმ მიზეზის გამო, რომ პლანტაციის გაშენება და ექსპლუატაცია დიდ სახსრებს მოითხოვს. ასეთი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მეურნე სახელმწიფო დახმარებას მიიღებს, ან რომელიმე საერთაშორისო პროგრამაში ჩაჯდება. სწორედ „იუსაიდის“ პროგრამის ფარგლებში მოახერხეს კოოპერატივ „ბილბერის“ წევრებმა (ხელმძღვანელი მალხაზ მარგველაშვილი) პლანტაციის გაშენება.

როგორც ბატონმა მალხაზმა საუბარში გვითხრა, მათ სოფელ ეწერში 4 ჰა ფართობზე გააშენეს ლურჯი მოცვის პლანტაცია. საკუთარი სახსრებით შეიძინეს ნერგები. მართალია, თავად „იუსაიდიდან“ ჯერჯერობით საჭირო სახსრები არ მიუღიათ (ელოდებიან კი), მაგრამ სახელმწიფოდან, გახარჯული თანხების 30% აინაზღაურეს და ეს დიდი შეღავათი იყო კოოპერატივის ენთუზიასტი წევრებისათვის. მათი რიცხვი 9 შეადგენს, თითოეული მოუთმენლად ელოდება იმ დროს, როცა მოცვი ნაყოფს დაისხამს და მის რეალიზაციას შეუდგებიან. ეს 3 წლის შემდეგ მოხდება, ამჟამად ნერგები 1 წლისაა და გულმოდგინე მოვლის წყალობით კარგი ზრდა-განვითარება აქვთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საუბარში ბატონმა მალხაზმა დეტალურად აგვიხსნა საქმის ვითარება: ესაა მოტივაცია, რისთვისაც გადაწყვიტა კოოპერატივის წევრებთან ერთად, ამ რთულ

საქმეს შესჭიდებოდა.

ხომ გაგიგონიათ გამონათქვამი: „ცდა ბედის მონახევრეაო“, გვეუბნება იგი, მართლაც დიდი შრომა გავწიეთ და საქმე თითქმის შეიძლება ითქვას, კარგად გავმართეთ. გვჯერა გარჯა გაამართლებს, მოცვის თერჯოლური პროდუქცია დაუბრკოლებლად გავა დიდ ბაზარზე. აქვე გეტყვით, რომ მოცვის ნაყოფზე დიდი მოთხოვნილებაა ზოგადად, განსაკუთრებით საზღვარგარეთის ქვეყნებში, მათ შორის ყაზახეთში, ირანში, რუსეთში, არაბული ქვეყნების თითქმის უმრავლესობაში, აღარაფერს ვამბობ ევროპის დიდ ბაზარზე...

მოცვს აქვს ის სამკურნალო თვისებები, როგორიც არცერთ სხვა მცენარეს. კერძოდ, იგი ხელს უწყობს ორგანიზმში ინსულინის გამომუშავებას და ბუნებრივი პროფილაქტიკური საშუალებაა საუკუნის დაავადების—დიაბეტის მკურნალობისათვის. შესაბამისად, ეფექტურია მოცვის მოქმედება მათთვის, ვინც მხედველობას უჩივის. ამიტომაა პროდუქციის ფასი ასე მაღალი.

სოფელ ეწერში, სადაც 4 ჰა ფართობზე გავაშენეთ კულტურა, კარგი პირობებია მისი ზრდა-განვითარებისათვის. თუმცა, ბოლო წლებში, ჭირვეული ამინდების პირობებში განსაკუთრებული მოვლა და ყურადღება სჭირდება. აუცილებელია მორწყვა. საამისოდ გავმართეთ სარწყავი სისტემა (წყალი სოფელ ძევრიდან შემოვიყვანეთ), 24 საათიანი წვეთოვანი მორწყვა ხორციელდება ყოველ ძირზე და სხვა საჭირო პრეპარატებთან ერთად ნერგები კარგად ვითარდება. მოვლა საკმაოდ შრომატევადი პროცესია, საამისოდ გარდა კოოპერატივის წევრებისა დასაქმებული გვყავს ხელშეკრულებით აყვანილი პირები. 5 მუდმივად, ერთდროული სამუშაოებისათვის 10 შრომისუნარიანი მეურნე.

გავმართეთ აუცილებელი ინფრასტრუქტურა, მათ შორის: გვაქვს ბინა ადმინისტრაციისათვის, ოთახი დარაჯისათვის, რომელიც მუდმივ ყურადღებას აქცევს წყლის რეზერვუარებს, წყალსაქაჩ ძრავებს, პლანტაციას... აუცილებლად გვესაჭიროება ტრაქტორი კერძო მფლობელობაში, სხვა აუცილებელი ტექნიკა. ვიმედოვნებთ, რომ მათ შეძენაში, როგორც „იუსაიდი“, ისე სახელმწიფო აუცილებლად დაგვეხმარებიან. როცა საკუთარი შემოსავალი გაგვიჩნდება პროდუქციის რეალიზაციით, ჩვენს პრობლემებს ჩვენვე ვუსაშველებთ. გარკვეულ დივიდენდებს შევიტანთ მუნიციპალიტეტის საერთო ყულაბაში. მზად ვართ საჭირო კონსულტაცია და დახმარებაც გავუწიოთ ენთუზიასტ პირებს, ვინც ამ კულტურის გაშენებით დაინტერესდება.

მადლობა გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციას ყურადღებისათვის და ყველას, ვინც მხარი დაგვიჭირა ამ დიდი საქმის წამოწყებაში.

ესაუბრა
ი. მარუაშვილი

ნახევარი საუკუნე ხელმძღვანელად...

ნახევარი საუკუნეა ადევნებს თვალს ბაგა-ბაღების შესახებ მიღებულ კანონებსა და სტანდარტებს, ხედავდა მათი ხშირი ცვალებადობა როგორ უშლიდა ხელს ამ სათუთი დაწესებულებების საქმიანობას. ჰქონდათ სხვა პრობლემებიც, მახსოვს და მას უფრო კარგად ემახსოვრება, როცა ბაგა-ბაღებში ერთ ბავშვზე დღეში 1 ლარი და 30 თეთრი იხარჯებოდა. ბავშვთა კვებაში მშობლების წილობრივი მონაწილეობაც კი დიდი ვერაფერი შეღავათი იყო. პროდუქტები ნისიად გამოჰქონდათ შესაბამისი მაღაზიებიდან, არ იყო სასწავლო რესურსების საკმარისი რაოდენობა, სათამაშოები, ინვენტარი, სამაგიეროდ იყო დაბალი ხელფასები, მაგრამ კვახჭირის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე ეთერ ყუფარაძე ყოველთვის ართმევდა თავს რთულ ვითარებას და სიძნელე აფიქრებინებდა, რომ მეტი შრომა იყო საჭირო, მაგალითის მიცემა თანამშრომლებისათვის და მშობლებთან მჭიდრო კავშირი.

ქალბატონი ეთერი ამბობს, რომ დაწყებით კლასებში მოსწავლეთა დაბალი დონე ყოველთვის იქნება, თუ ბაღებში მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი არ წარიმართა. კვახჭირელი მშობლებისათვის ეს ბაღი მხოლოდ შვილების „დასატოვებელი“ ადგილი არასდროს ყოფილა. განათლებაზე, რასაც ეს ბაღი აძლევს ბავშვებს სავსებით საკმარისია ბავშვებისათვისაც და სკოლისთვისაც. მე რამდენჯერმე დავსწრებივარ ამ ბაღში გამოსაშვებ მეცადინეობას თუ სადღესასწაულო ღონისძიებებს. ისეთ კითხვებს პასუხობდნენ მზაობის ჯგუფის ბავშვები, დარბაზში, სადაც უფროსები, მშობლები, მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ, კითხვაც კი დაისვა—ჩვენ ეს ვიცოდით? ხელისშემშლელი იყო ისიც, რომ არ არსებობდა ადრეული განვითარების სტანდარტი, სადაც გაწერილი იქნებოდა განათლების რა დონე უნდა ჰქონდეს ბავშვს სკოლაში შესვლისთვის, იყო პერიოდი, როცა ბაღში თვითონ ქმნიდნენ თავიანთ სამუშაო პროგრამებს.

საბედნიეროდ, დღეს, არც სასწავლო პროგრამების, არც ფინანსების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ, ბაღების ფუნქციონირებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით, რომლის დაქვემდებარებაშიც არიან ბაღები, დღეს პრობლემა აღარ არის, ხარჯები ყოველწლიურად იზრდება. ბავშვები ისე ყალიბდებიან, რომ სკოლები პირველ კლასში მათი მზაობით კმაყოფილები არიან.

აქ, ისე, როგორც ადრეული ასაკის სტანდარტით არის გათვალისწინებული, ბავშვებს განვითარებული აქვთ ის უნარები, რაც სკოლაში შესვლისათვის ჭირდებათ, ეს ის უნარებია, რაც ხელს უწყობს სკოლაში წერა-კითხვის ადვილად ათვისებას. აქაური ბავშვები არჩევენ ასოებს, ან იციან კითხვა, თვლაანგარიში, ცნობენ ციფრებს, ხატავენ, შეუძლიათ მუსიკის აღქმა. აქ ხდება მათი „მე“-ს გაცნობიერება, თვითშეფასების, თავისუფალი არჩევანის გაკეთების, საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის და საკუთარი თავის მართვის ჩვევების ჩამოყალიბება.

სერტიფიკატში შთამბეჭდავი ჩანაწერია...

კვახჭირის საბავშვო ბაღი ისეა ეთერ ყუფარაძის სახელს შედუღაბებული, თითქოს ისინი ერთად მოევლინენ ამქვეყანას—„თითქოს“ აქ შეიძლება ზედმეტიც არის, სულ რაღაც 20-22 წლის იყო, როცა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი ფაკულტეტის კურსდამთავრებული, მშობლიურ სოფელში, ერთჯგუფიანი საბავშვო ბაღის გამგე-მასწავლებლად დაინიშნა. რთული პერიოდი იყო და საქმეში გამოუცდელმა გამოწვევებს თავი გაართვა. მერე ბაღი გაიზარდა, გახდა ორჯგუფიანი, სამჯგუფიანი და ასე, ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ, იძენდა გამოცდილებას, იკრებდა ერთგულ, საქმის მცოდნე თანამშრომლებს და ახლა კვახჭირის ბაღი ერთ-ერთი მოწინავეა, პირობები კი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული. შეკითხვაზე—რა არის ასე ხანგრძლივად, ერთი და იმავე პოზიციაზე მუშაობის ფორმულა—მე ვპასუხობ: ბავშვების უპირობო სიყვარული და პროფესიული საქმიანობისადმი დიდი ერთგულება—ამბობს ქალბატონი ეთერი და ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს საოცარი და სასიამოვნო ფაქტი ნამდვილია—მუშაობის ორმოცდაათი წლის მანძილზე არ მიუღია არც ერთი შენიშვნა და საყვედური. სამაგიეროდ მიღებული აქვს „უთვალავი“ სიგელი და სერტიფიკატი, ყველას ვერ ჩამოვთვლით. ერთ-ერთში წერია—„ადამიანებისადმი, თანამშრომლებისადმი, კოლეგებისადმი გულისხმიერი, თბილი, პოზიტიური და სუპერ დამოკიდებულების გამო“ დაუბრუნდება ისეთივე სიყვარული და მხარდაჭერა, როგორსაც გასცემს.

კიდევ ერთი საუკეთესო ფორმულა...

ქალბატონ ეთერს მუშაობის ერთ საუკეთესო ფორმულად მშობლებთან ერთობლივი მუშაობა მიაჩნია, მათი ჩართულობა ბაღის საქმიანობაში. ბაღის თანამშრომლები კი ისე უყვარს, თითქოს ისინი ოჯახის წევრები იყვნენ, იზიარებს მათ ტკივილს და სიხარულს, ცდილობს იყოს სამართლიანი, მიუკერძოებელი, ორმაგი სტანდარტებით მუშაობა არ არის მისი სტილი.

და დაუბრუნდა და უბრუნდება გაცემული ზრუნვა და სიყვარული, ამას გრძნობს ყოველი ფეხის ნაბიჯზე, გრძნობს როგორი ღიმილიანი თვალებით და სიყვარულით მოიკითხავენ, როცა ხვდებიან მის ხელში გაზრდილი გოგო-ბიჭები, უკვე ბებიები და ბაბუები, ბაღში განცდილ სითბოსა და სიყვარულს ასაკოვანნი დღემდე ინახავენ გულში.

ეთერ ყუფარაძე უყვართ კვახჭირში, უყვართ მუნიციპალიტეტში, პატივს ცემენ ხელმძღვანელი მუშაკები და აფასებენ მის ნახევარსაუკუნოვან, ერთგულ და კეთილსინდისიერ მოღვაწეობას რთულ და პასუხსაგებ თანამდებობაზე.

ქალბატონი ეთერი ადრეულ ასაკში დაქორწინდა. ამ მხრივ ხანგრძლივ იგი ბედს არ გაუხარებია, მეუღლე ადრე გარდაეცვალა, შვილი ზაზა ვაშაყმაძე იყო და არის მისი საზრუნავი, ბიჭს მამით ობლობა არ უგრძვნია, მატერიალური კეთილდღეობა არასდროს მოჰკლებია, მაგრამ მამის ძლიერი ხელი ჭირდებოდა და დავაჟკაცდა იგი დედის გვერდით და მამის გადიდებულ სურათთან. ზაზა ეკონომისტია, საზღვარგარეთ მოღვაწეობს, აქვს საკუთარი სამშენებლო ბიზნესი.

„ცოტა ჯიუტი, ცოტა ანჩხლი“

ქალბატონი ეთერი მოკრძალებული და თავმდაბალია, საერთოდ არ საუბრობს საკუთარ თავზე, ძლივს დავითანხმე მისთვის 75 წლის იუბილე და ხელმძღვანელ სამუშაოზე უწყვეტად მუშაობის 50 წელი მიგველოცა. „ცოტა ჯიუტი, ცოტა ანჩხლი“-ო თქვა და მეც არ შევუნახე საიდუმლო, თუმცა საიდუმლოდ არც უთქვამს, ანჩხლიც რომ იყოს და ჯიუტიც, „გააჩნია რა შემთხვევაში“ ამ თვისებას ქალბატონი ეთერი საუკეთესო მაგალითისათვის იყენებს.

შრომისმოყვარე ოჯახში გაიზარდნენ ეთერი და მისი ერთადერთი ძმა. მამა წლების განმავლობაში კვახჭირის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა, დედა კი შვილების აღზრდით იყო დაკავებული. და-ძმის ხასიათის ჩამოყალიბებაში ოჯახმა დიდი როლი ითამაშა, ცოლ-ქმარი დიდი სიყვარულით ზრდიდნენ შვილებს, ზომიერებას იცავდნენ—თავისუფლებასაც აძლევდნენ მათ და არც ნებაზე უშვებდნენ.

მუდამ საზოგადოებაში მდგარი ხელმძღვანელი, მუდამ დატვირთული შინ და გარეთ, ყოველთვის პოულობს დროს მეგობრებთან ურთიერთობისათვის, სტუმარი მისთვის ყოველთვის სასურველია და მერე როგორი დიასახლისია! „კულინარიულ დუელში“ ნებისმიერს გამოიწვევს და გაიმარჯვებს.

თანადგომა ფინანსურად, იმედიანი სიტყვით...

უპოვარი არასდროს ყოფილა, მაგრამ ზედმეტიც არ ჰქონია, უყვარს დახმარება, უფრო სწორად „ლუკმის გაყოფა“, სხვისი გასაჭირი გულთან მიაქვს და გვერდში უდგას ადამიანებს, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, როგორც ფინანსურად, ისე იმედიანი სიტყვით.

უყვარს შინაური ცხოველები, უვლის და კვებავს რამდენიმე მიუსაფარ ცხოველს.

* * *

ცხოვრობს, შრომობს, ქმნის, სიკეთეს თესავს კვახჭირელი ქალბატონი ეთერ ყუფარაძე. მხრებზე აწევს ორმოცდაათი წლის მუშაობის სიმძიმე, ასაკსაც თავისი მოაქვს, მაგრამ მხნედ არის, ძველებურად შემართული და ბედნიერია, რადგან ისევ აგრძელებს საყვარელი საქმის კეთებას, აგრძელებს უკეთესადაც, გამოცდილების, კვალიფიციური შრომითი კოლექტივის და ბაღში ბოლო წლებში შექმნილი კარგი პირობების გამო...

ჟუჟუნა ცხადაძე

შემაჯამებელი ზეიმი ეწრის ბაღში

ერთხელ მაინც თუ ეწვევით ეწრის საბავშვო ბაღს, ძნელია დაივიწყოთ იქ მიღებული სიამოვნება და არ გაგიჩნდეს სურვილი ამ წალკოტში ხელახლა სტუმრობისა... დიახ, აქ ყველაფერი ლამაზი და მიმზიდველია: ჭიშკრიდან შენობისაკენ მიმავალი ფერადი მოხატულობებით დატვირთული ბილიკი, ეზო, მისი ნაძვნარი შემოგარენი, სათუთად მოვლილ-ნაპატრონები შენობა, ყვავილნარით დამშვენებული ინტერიერი, ლამაზად გაფორმებული, თემატურად დატვირთული აღსაზრდელთა სამეცადინო თუ გასართობი სივრცე, სუფთა ჰაერით ნასაზრდოები საძინებელი... ადმინისტრაციული სამუშაო ოთახი, სამზარეულო, საკუჭნაო თუ ნებისმიერი სხვა წერტილი...

აქ შექმნილი ლამაზი გარემო შენობის ბინადართ კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი გაუხდიათ, რაც განსაკუთრებით გამოჩნდა 14 ივნისს—სასწავლო წლის დასრულების შემაჯამებელ ზეიმზე, რომელიც 21 აღსაზრდელის აღმზრდელების და მშობლების აქტიური ჩართულობით ჩატარდა.

12 საათისათვის ყველა სამზადისი დასრულებულია. ბაღის ეზოსა და შემოგარენში, სადაც დღეს პატარები ზეიმს მართავენ ხალხმრავლობაა, რომლებსაც უერთდებიან სტუმრები მუნიციპალიტეტის მერიიდან, საკრებულოდან, სკოლამდელი აღზრდის ცენტრიდან... ☞5

„ცოდნის წყაროს პეშვით დავლევთო“

თერჯოლის №3 საბავშვო ბაღი (დირექტორი ლალი ქარქაშაძე) მეორე წელია სხვა შენობაში მუშაობს. ვერ ვიტყვით, რომ მთლად კომფორტულად, შენობა, ცხადია, არასტანდარტულია, მაგრამ მუშაობა შეიძლება და მუშაობენ კიდეც, მოაწყვეს, გაალამაზეს, კრიალებს ოთახები, ღირდა შრომაც და „გაძლებაც“, რადგან მალე დამთავრდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაღი და ოცნებაც ასრულდება. მოთმინება გამოიჩინეს აღსაზრდელთა მშობლებმა—არც ერთი ბავშვი ბაღიდან არ გასულა, იცოდნენ მშობლებმა, რომ მათ შვილებს აქ არავინ არაფერს დააკლებდა, აღზრდა-სწავლებას შენობა ხელს ვერ

შეუშლიდა.

ლამაზად ჩაცმულმა გოგო-ბიჭებმა №3 საბავშვო ბაღის მზაობის ჯგუფის აღსაზრდელებმა თითქმის ერთი საათით დაიპყრეს მორთული სცენა. აღსაზრდელები: ბრეგვაძე ელენე, ბუსკივაძე მარიამი, გავაშელაშვილი ანდრია, გავაშელაშვილი ალექსანდრე, ვერულაშვილი ირაკლი, თურქაძე ბარბარე, კოხიაშვილი სანდრო, კვარაცხელია ბარბარე, მეგრელი ბარბარე, ობოლაძე დათო, მაკარიძე მარიამი, რობაქიძე ევა, რობაქიძე გიორგი, ფორჩხიძე ბარბარე, ქურცაძე ანდრია, ძოწენიძე დანიელი, ძოწენიძე ქრისტინე,

ჯინჯიხაძე გიორგი, რობაქიძე ალექსანდრე. დედებმა შემოიყვანეს სცენაზე და კუთვნილ სკამებზე დასვეს. პირველად მუსიკალური თამაშობები აჩვენეს, მაგრამ ეს არ იყო მარტო თამაში, ეს იყო დახვეწილი მოძრაობა, როცა გოგონები „პეპლებს“ თამაშობდნენ, ბიჭები მღეროდნენ, მერე გაერთიანდნენ და „ჩაეხუტნენ“ ერთმანეთს. შეასრულეს სხვადასხვა სახის თამაშობები, მღეროდნენ ხმაშეწყობილად, თითქოს აღმზრდელს მომღერლები სპეციალურად შეურჩევიაო. საზეიმო ღონისძიება მთლიანად მუსიკალური იყო, ნამდვილი სანახაობა. მერე დედა-შვილებმა ერთად იცეკვეს, პატარები კვლავ დედის ფრთებქვეშ აღმოჩნდნენ და თოჯინებით ხელში სიმღერა შეასრულეს—რაც გულწყვეტასაც ჰგავდა—თოჯინებთან დამშვიდობების გამო, ერთმა იტირა კიდეც, მაგრამ გაამხნევეს—„თქვენ ისწავლით, მაგრამ კვლავაც დარჩებით თოჯინებთანო“.

ცეკვა-სიმღერისას გამოიყენეს თავიანთი ხელით დამზადებული რესურსი—გულები.

მერე იყო სიურპრიზი—ბავშვებს ეწვიათ თერჯოლის გასართობი ცენტრის—მაშა და დათვი, მათმა ჩაცმულობამ გაახალისა ბავშვები, ერთად გაერთნენ, გარკვეული შეჯიბრებაც გამართეს, ბიჭები დათვის მხარეზე იყვნენ, გოგონები მაშას მხარეზე, ორივემ გაიმარჯვა.

ერთ აღსაზრდელ დავით ობოლაძეს დაბადების დღე ჰქონდა, მიულოცეს, მოეფერნენ, ჩაეხუტნენ (ეს მშვენიერი ჟესტი ბევრჯერ გამოიყენეს).

„დარეჯანის ვარდისფერი ჯგუფი“

მზაობის ჯგუფი წელს დარეჯან ბეღელაძემ გამოუშვა, სოფო კუბლაშვილთან, აღმზრდელის თანაშემწესებთან ნათია გელაშვილთან, სოფიკო მოსელიძესთან ერთად. ჯგუფში დანიშნულებისამებრ თავიანთ საქმეს ასრულებდნენ: ფსიქოლოგი ეთერ უკლება, ლოგოპედი ირმა ჩუბინიძე, სპეც პედაგოგი ნონა ქოჩიაშვილი, ზეიმი მუსიკალური ნომრებით იყო დატვირთული—განსაკუთრებულია მუსიკის მასწავლებლის ლია გაგიშილის დამსახურება. ამ ყველაფრის თავი და თავია და ყველა პროექტს და ზეიმს მეთოდისტი ქეთევან ჯაბიძე უწევს ხელმძღვანელობას, თავისთავად დირექტორი—ლალი ქარქაშაძე.

***

ამ ბაღის ისტორიაში ეს 42-ე გამოშვებაა, აღინიშნა, რომ ბევრი საუკეთესო თაობა „გაუგზავნიათ“ სკოლებში, მაგრამ ეს გამოშვება ნამდვილი საოცრებაა, ითქვა. „მე ბევრჯერ „მრგებია“ დარეჯან მასწავლებლის აღზრდილები, ყოველთის კარგები იყვნენ, ესენი ნამდვილი საოცრებები არიან“—თქვა თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგმა ზოია ბუცხრიკიძემ, რომელიც სექტემბერში ამ ჯგუფის სასკოლო ასაკის ბავშვებს „ჩაიბარებს“.

დარეჯანმა სრულად გამოავლინა შესაძლებლობა, მან მარტომ შეასრულა ერთი მშვენიერი ნომერი, საერთოდ ღონისძიების მსვლელობაში მთლიანად იყვნენ ჩართულნი აღმზრდელები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი მაია თორთლაძე, მეთოდისტი დალი სოფრომაძე და სხვა თანამშრომლები, აღსაზრდელთა მშობლები, ბებია-ბაბუები და მამებიც კი, ისინი ტაშით აჯილდოვებდნენ მოსწავლეებს.

საზეიმო ღონისძიება გახსნა ბაღის დირექტორმა ლალი ქარქაშაძემ, მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიას, ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელს და ყველა თანამშრომელს, მშობლებს, აღინიშნა, რომ დიდ სიხარულს გვრით იმის შეგრძნება, რომ მალე ახალი შენობა ექნებათ, რომ მშობლები მოთმინებით დაელოდებიან ახალ ბაღს. სიტყვით გამოვიდა მაია თორთლაძე, მან მაღალი შეფასება მისცა ღონისძიებას. აღნიშნა, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო გამოშვების ზეიმი იყო, რომ ღონისძიებას ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის კვალი ეტყობოდა. მშობელმა სოფო სიუკაევამ მადლობა გადაუხადა ბაღის აღმზრდელებს, მის ხელმძღვანელს, ყველას, ვისაც წვლილი აქვს შეტანილი მათ აღზრდაში. „ცრემლი ახლავს გამოსაშვებ ზეიმს, მაგრამ ეს სიხარულის ცრემლია, ჩვენ კიდევ ერთი თაობა გამოუშვით“—აღნიშნეს აღმზრდელებმა.

კვლავ და კვლავ ისმოდა მშობლების სამადლობელი, ბაღის დირექტორმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მშობლების თანადგომას, აღმზრდელების თავდაუზოგავ შრომას და დახმარებას. მათ და მშობლებმა სიგელები და ალბომები გადასცეს პატარებს ნიშნად იმისა, რომ ცხოვრების ახალი საფეხური იწყება, სკოლის ზარი მოუხმობს მათ... დარჩათ ტკბილი მოგონება და უამრავი ფოტო.

„ცოდნის წყაროს პეშვით დავლევთო“—დაპირებად გაისმა.

ჟუჟუნა ცხადაძე

შემაჯამებელი ზეიმი ეწრის ბაღში

4 ☞

ულამაზესი გარემოს კიდევ უფრო ლამაზსა და შთამბეჭდავს ჰქმნის მუსიკა და აპლოდისმენტების ფონზე ხელჩაკიდებული გოგო-ბიჭების გამოჩენა. შესანიშნავად მღერიან და ცეკვავენ პატარები, მოკრძალებული პროგრამით კარგად აჩვენეს, რომ ნაყოფიერი იყო პატარა ეწრელებისათვის ბაღში გატარებული თითოეული დღე, მათი უმრავლესობა სექტემბრიდან ისევ ბაღში გააგრძელებს სწავლასა და აღზრდას, მხოლოდ ოთხი მათგანი: ლიზა ბერუაშვილი, ოთარ სულამანიძე, დავით ხვარეშია და ანამარია ქამუშაძე დატოვებს საყვარელ გარემოს, რომლებიც სექტებრიდან ეწრის საჯარო სკოლას მიაშურებენ...

ზეიმის მონაწილეებს მიესალმება და გზას ულოცავს საბავშვო ბაღის დირექტორი ქალბატონი ლალი ხვარეშია. ასევე მადლობას უხდის აღსაზრდელებს და აღმზრდელებს ლამაზი ღონისძიებისათვის და საერთოდ გაწეული მუშაობისათვის.

ქალბატონი ლალი მიესალმა აგრეთვე სტუმრებს და მადლობა გადაუხადა თითოეულს პატარების ზეიმზე მობრძანებისათვის.

ბაღის დირექტორმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს ბატონ მანუჩარ რობაქიძეს გაწეული დახმარებისათვის.

სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ეწრის საბავშვო ბაღის დირექციისა და თანამშრომლების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და მიღწევებს მათ უპირველეს საქმიანობაში.

მან ხაზგასმით აღნიშნა დირექტორის ქალბატონ ლალი ხვარეშიას და პედაგოგების: ზაირა გვენეტაძის, ლიკა გელიაშვილის, ია კაცაძის, ეკატერინე კვინიკაძის და თამარ რუჭიას და დანარჩენი პერსონალის მიზანმიმართული და პროფესიონალური საქმიანობის თაობაზე.

„მოგესალმებით ჩემო პატარებო, მშობლებო, სტუმრებო, ყველას მოგესალმებით ამ ლამაზი ღონისძიებისათვის და გაწეული მუშაობისთვის—ასე დაიწყო თავისი მიმართვა საბავშვო ბაღის ზეიმზე მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ... ძალიან მიხარია ყველაფერი, ის, რომ შესანიშნავი ბავშვები გყავთ, შესანიშნავი ბაღის ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი, რომელიც ჰქმნით ერთიან სიძლიერეს მშობლებთან ერთად. ვისურვებდი რომ იყოს ბევრი პატარა ანგელოზი და მათი აღზრდა და ხელშეწყობა ყოველთვის იქნება ჩვენი უპირველესი საზრუნავი“...

იანვარში მოსულმა ნალექმა, ეწრის საბავშვო ბაღის სახურავი და ცენტრალური შესასვლელის კედელი მთლიანად დააზიანა. ბაღის შენობაში მუშაობა შეუძლებელი იყო, მერიის უშუალო ჩარევითა და სათანადო ზომების მიღებით უმოკლეს ვადაში მოხდა კედლის აღდგენა და გადახურვითი სამუშოების შესრულება.

შემდეგ მან ისაუბრა ბაღის შენობის იმ ნაწილზე, რომელიც ამჟამად გაურემონტებელია და არ ფუნქციონირებს, იყო მოსაზრება მისი დემონტაჟისა, თუმცა შემდეგ ბატონი მანუჩარის გადაწყვეტილებით გადაიხურა და მომავალში მისი აღდგენა-გარემონტება საშუალებას მისცემს ბაღის დირექციას იფიქროს ახალი ჯგუფის გახსნაზე, აგრეთვე დარბაზის მოწყობაზე.

ბატონმა მანუჩარმა ბედნიერი მომავალი უსურვა თითოეულ აღსაზრდელსა და სოფელ ეწრის მომავალ თაობას...

ზეიმს მილოცვებით და კეთილი სურვილებით შეუერთდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სოფელ ეწრის მაჟორიტარი დეპუტატი კობა კაცაძე, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნინო ჩხიკვაძე, დავით გოგბერაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე.

აღსაზრდელთა მშობლების სახელით ბაღის კოლექტივს და რაიონის ხელმძღვანე;ლებს მადლოა გადაუხადეს ნათია ხუჯაძემ, ეკა ზარნაძემ.

შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა ერთად სამახსოვრო სურათები გადაიღეს და პატარებმა, უფროსებთან ერთად ბევრი ლამაზი ბუშტი გაუშვეს და აპლოდისმენტებიც გააყოლეს.

თუმცა ამით ყველაფერი არ დამთავრებულა, უფროსებმა, მშობლებმა და აღმზრდელებმა პატარებს კიდევ ერთი ულამაზესი აქტივობა მოუწყვეს... პიკნიკი იქვე ლამაზად მოწყობილ „ფანჩატურში“, ეს ის სანახაობა იყო და საერთოდ მთელი დღის შთაბეჭდილება და ემოცია, რომელსაც ვერასდროს დაივიწყებენ.

როგორც ჩანს ეს ძალიან სასიამოვნო ემოცია გახდა მიზეზი იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ მასპინძლებთან დამშვიდობებისას სიურპრიზად გააჟღერა: სასწრაფოდ მომზადდება ხარჯთაღრიცხვა და სექტემბრამდე ბაღის შენობის დღემდე უფუნქციოდ დატოვებული სივრცე გარემონტდება... ანუ ბაღს ახალი პერსპექტივა მიეცემა მიიღოს იმაზე გაცილებით მეტი ბავშვი, ვიდრე დღესაა.

ეს კი ნამდვილად კარგი საჩუქარია ამ სოფლისათვის. ახლა ერთი უმთავრესი ამოცანაა სოფლის ახალგაზრდა ოჯახების წინაშე... მეტი პატარა სოფელს... ანუ გამრავლება და ისევ გამრავლებაა საჭირო.

პატარებს კი ამ ბაღისა და შემდეგ ეწრის საჯარო სკოლის კედლებში საუკეთესო აღმზრდელები და პედკოლექტივები ყველა პირობებს შეუქმნიან, ხელისუფლების წარმომადგენლების ხელშეწყობით ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის.

მზია ცქიფურიშვილი

ზაფხული მოვიდა, მოგზაურობის მოყვარულთა ტურისტული ზაფხული...

საქართველო ერთ-ერთ საინტერესო ტურისტულ ქვეყნად არის მიჩნეული შინ და გარეთ. ჩვენი ვარძია, უფლისციხე, დავით გარეჯი... ასევე სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, შავიზღვისპირა კურორტები და, საერთოდ, საქართველოს ნებისმიერი მხარე, ბუნებრივი თუ ისტორიული ძეგლების სიმრავლე, ხელოვნების არაერთი უნიკალური ნიმუში, თვით უძველესი ქართული ანაბანი—დამწერლობა, რომელიც განუმეორებელია თავისი სილამაზითა და ხიბლით, ანდამატივით იზიდავს ტურისტებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

არაფერი გვითქვამს დედასამშობლოს მოწყვეტილ სამხრეთ საქართველოს (ტაოკლარჯეთის) ისტორიული ძეგლების მთელ შარავანდედზე... ეს ცალკე თემაა!

ტურიზმის მიმართულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტიც ამბობს თავის მნიშვნელოვან სიტყვას.

ჩავავლოთ თვალი ჩამონათვალს:

ნაგარევის, ნავენახევის, საგვარჯილეს, სამკინჭიას მღვიმეები;

ძევრის სტრატეგიული რელიეფი, გოგნის უდაბნო, ქვერუნას ხეობა, საზანოს პრეისტორიული ფაუნის ნაკვალევი, ძუსის კანიონი, ალისუბნის კანიონი, ჭიშურის ხეობა, ბროლის ქედი.

სიამაყის გრძნობას გვანიჭებს ჩვენს წინაპართა მიერ ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე რუდუნებით შექმნილი ძეგლები:

გოგნის „კარუგდებელი“, თუზის, კვახჭირის, ჩხარის, ქვ. სიმონეთის წმინდა გიორგის სალოცავები, ღვანკითის „დედაღვთისა“, ძევრის ჩეხნარი, ძველი ტაძარი, სიქთარვის მაცხოვრის ტაძარი, ჭოგნარის ღვთისმშობლის ტაძარი, სკანდის ციხე, გოდოგნის კოშკი...

ეს ყველაფერი ვიზიტორთა ინტერესს სამართლიანად ზრდის თერჯოლის მიმართ.

ადამიანები მოდიან, ნახულობენ, ბედნიერდებიან...

ვინ იცის, ჯერ კიდევ რამდენი საგანძურია ხელშეუხები ბუნებრივ სამალავებში...

ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო ამბები ელით კიდევ წინ მომავალ თაობებს, მომავლის მკვლევარ არქეოლოგებსა თუ მეცნიერებს.

წარმატებული ყოფილიყოს მათი ძიების და კვლევის გზა.

ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელი **სოფიო ბუსკივაძე** გაზეთის მკითხველს მოუთხრობს თუ როგორ წარმართავენ საქმიანობას.

* * *

„გმადლობთ, რომ დაინტერესდით ჩვენი საქმიანობით, ვისარგებლებ შემთხვევით და მოგილოცავთ ჩვენი საყვარელი გაზეთის იუბილეს. ჩემი პირველი ჟურნალისტური ნათლობა სწორედ ამ გაზეთის რედაქციაში შედგა.

ახლა რაც შეეხება ჩვენს სამსახურს:

სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ტურიზმის მიმართულება პიარს და პრომოუშენს უწევს თერჯოლის ტურისტულ მარშრუტებს; არამატერიალურ თუ მატერიალურ კულტურულ ძეგლებს; ხელს უწყობს და კოორდინირებს ტურიზმის სფეროში მცირე ბიზნესის განვითარებას; მუნიციპალიტეტში არსებულ საოჯახო სასტუმროებს; მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, სხვადასხვა კონფერენციაში და სხვ.

ამ სფეროს ერთი წელია ვხელმძღვანელობ. საკმაოდ კარგი მემკვიდრეობა დამხვდა წინა ხელმძღვანელისგან. გვყავს საქმის მცოდნე და შრომისმოყვარე თანამშრომლები. ჩვენ ყველა ერთად ენთუზიაზმით ვაკეთებთ ჩვენს საკეთებელ საქმეს. ამ კუთხით ჩვენს მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი გააჩნია: განვაახლეთ საინფორმაციო ბაზები, აღვწერეთ საოჯახო სასტუმროები, საოჯახო მარნები, კვების ობიექტები, რომ მუნიციპალიტეტში შემოსულ სტუმრებს ჰქონდეთ სრული ინფორმაცია—სად შეიძლება განთავსდნენ და რა შეგვიძლია შევთავაზოთ.

გვაქვს ფეისბუქგვერდი, სადაც ვათავსებთ ტურისტებისთვის საინტერესო ინფორმაციებს.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება ყველა საჭირო დახმარებას გვიწევს ტურიზმის სფეროს განვითარებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ძევრის სტრუქტურული რელიეფის მიმდებარე ტერიტორიაზე, ანუ იქ, სადაც ჩვენი პირველყოფილი წინაპრები ცხოვრობდნენ, ეწყობა რეკრეაციული ზონა (ე. წ. გადასახედები, მისასვლელი ბილიკები, ფანჩატურები და ა.შ.).

ყოველივე ეს სანახაობასთან ერთად დამატებით კომფორტს შეუქმნის ვიზიტორებს.

გარდა ამისა, ეწყობა საგრანტო კონკურსები ტურისტული ობიექტების მოწესრიგებისათვის. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტი მუშაობს ე.წ. გოგნის გადმოსახედის რეკრეაციული ზონის მოსაწყობად კონკურსში მონაწილეობისათვის.

მუნიციპალიტეტში ჩვენს საქმიანობას კურატორობას უწევს იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაცია (DMO). კერძოდ, ეს ორგანიზაცია გვეხმარება საინფორმაციო მასალების დაბეჭდვაში, მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ობიექტების საერთაშორისო მასშტაბით პოპულარიზაციაში; მუნიციპალიტეტში არსებულ კერძო მეწარმეებს საშუალებას აძლევს გაიარონ ტრენინგები შესაბამის სფეროებში და ა.შ.

ამას წინათ სამსახურებრივი მივლინებით ვიმყოფებოდი იტალიის ქალაქ მილანში, სადაც მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „Bit Miago-2023“. მსგავსი გამოფენები ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა ქვეყანაში. მასში მსოფლიოს ტურისტული კომპანიები და მუნიციპალიტეტები მონაწილეობენ.

ჩვენი მუნიციპალიტეტისა და მთლიანად იმერეთის საინფორმაციო მასალებმა: ტურისტულმა გზამკვლევებმა, ბუკლეტებმა და სხვ. ინტერესი გამოიწვია დამთვალიერებელთა შორის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ამ შესაძლებლობებისათვის მუნიციპალიტეტის მერიას და სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელობას.

ეს იყო შთაბეჭდილებებით და საქმიანი შეხვედრებით დატვირთული სამი დღე. დროის ამ მონაკვეთში საშუალება გვქონდა არა მხოლოდ გამოფენის მონაწილეთათვის, არამედ იტალიის სხვა რეგიონებისათვისაც გაგვეცნო დაწვრილებითი ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ.

რაც შეეხება ჩვენს სამუშაო გეგმებს:

ვაგრძელებთ მუშაობას იმ მიმართულებით, რაც დებულების მიხედვით გვაქვს განსაზღვრული. ასევე ვეხმარებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს—უკეთ გაიცნონ თერჯოლის ტურისტული ადგილები, ჩვენი ისტორიული კულტურული მემკვიდრეობა.

ზაფხულობით ჩვენ ვაწყობთ სამდღიან ტურისტულ ბანაკებს, სადაც ახალგაზრდები ეჩვევიან საველე პირობებში კარვებში ცხოვრებას; მათ უტარდებათ ლექციები, ეწყობა ლაშქრობები. ვმასპინძლობთ საინტერესო სტუმრებს.

გასული წელი დატვირთული იყო სხვა არაერთი ტურისტული აქტივობით...

წელს ვგეგმავთ ამ ბანაკში გავზარდოთ კონტიგენტი და მიღება ორ ეტაპად განვახორციელოთ.

ასე რომ, წინ საინტერესო ამბები გველოდება“.

P.S. იმედიანი სიტყვებით დაამთავრა ჩვენთან საუბარი ქალბატონმა სოფიომ და ჩვენც დიდი იმედი დაგვიტოვა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში კიდევ ბევრი რამ გაკეთდება ტურიზმის განვითარებისათვის...

საინტერესო დეტალი: ჩვენთან ინტერვიუს შემდეგ იგი თერჯოლის სახალხო თეატრის დასის სპექტაკლში ვიხილეთ.

მან ბრწყინვალედ განასახიერა საინტერესო სახე საფესტივალო სპექტაკლში „ფაბრიკის გოგონები“. წარმატებები უსურვოთ ქალბატონ სოფიოს საქმიანობის ორივე მიმართულებით.

კროსვორდი
ტურისტული თერჯოლა გეპატიჟებათ



1. წინასწარ დასახული გზა გასაჩერებელი პუნქტების აღნიშვნით. 2. მოგზაურობა ამა თუ იმ მხარის გაცნობისა და დასვენების მიზნით. 3. გოგნის ისტორიული ძეგლი. 4. ერთ-ერთი ისტორიული ნაქალაქარი. 5. ღვანკითის... 6. ერთ-ერთი ციხე. 7. ერთ-ერთი ხეობა. 8. ერთ-ერთი სოფელი, სადაც არის კანიონი. 9. ნავენახევის... 10. მაცხოვრის ეკლესია სოფელ... 11. ეკლესია ძევრში. 12. თუ შავიზღვისპირა ერთ-ერთი ქალაქის სახელს დავუმატებთ პირველ ორ ასოს, მივიღებთ მუნიციპალიტეტის ერთი სოფლის სახელს. 13. ტურისტების მასპინძელი. 14. ბალნეოლოგიური კურორტი. 15. ეკლესია, ანუ სამლოცველო. 16. წყლის წისქვილებით განთქმული სოფელი. 17. ეკლესია თერჯოლაში.18. სკანდის... 19. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. 20. ისტორიული ციხე. 21. ვისი სახელობისაა დედათა მონასტერი ქვედა სიმონეთში? 22. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი სოფ. ძევრში. 23. ადგილი საქართველოში, სადაც აშენდა ჰესი. 24. ცნობილი სამშენებლო ქვის საბადო. 25. გოგნის 26. დინოზავრების... 27. გეპატიჟებათ ქალაქი...

გვერდის ავტორი ნუგზარ გამყრელიძე

21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

საქართველო—რუმინეთი 2023

საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების დიდი წარმატება!

დრონი მიდიან და დრონი მოდიან...

ფეხბურთი იყო.

ფეხბურთი არის.

ფეხბურთი იქნება...

ფეხბურთის მოყვარულნი ფეხბურთით ცოცხლობენ...

დაე იცოცხლონ... სიხარული ნუ მოაკლოთ, სიხარული, რომელიც აგრე რიგ გვჭირდება მოხუცებსაც და ახალგაზრდებსაც, ქალსაც და კაცსაც...

ანუ, საქმე რაშია?

ფეხბურთი ჩვენი თამაშია!

დიდი საფეხბურთო დღესასწაული უდგას საქართველოს!

2023 წლის ევროპის 21 წლამდე ფეხბურთელთა ჩემპიონატს მასპინძლობდე—ეს მოვლენაა საპატიო და საპასუხისმგებლო მოვლენა საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში.

ჩვენმა 21 წლამდელთა ნაკრებმა წარმატებით განვლო ჯგუფური ეტაპი. როგორც უკვე ვიუწყებოდით, პირველ ტურში, ევროპის ვიცე-ჩემპიონს პორტუგალიის ნაკრებს ორი უპასუხო გოლით მოუგო.

მეორე ტურში ფრე (2:2) აღინიშნა ბელგიის ნაკრებთან.

მესამე...

მესამე, უნდა ითქვას განსაკუთრებით მძიმე და დრამატული მომენტებით სავსე გამოდგა.

„დინამო-არენა“ პირთამდე იყო სავსე—როგორც ვიტყვით ხოლმე „ნემსი არ ჩავარდებოდა“...

სტუმრებმა—ნიდერლანდიელებმა პირველივე წუთიდან გვაგრძნობინეს, რომ გამარჯვებაზე იყვნენ ორიენტირებულნი... მათ თითქოს ყველაფერი გამოსდიოდათ, მაგრამ...

მაგრამ გოლი სწორედ ჩვენ გავუტანეთ, რომლის გაქვითვა ნიდერლანდელემა ფეხბურთელებმა პირველი ტაიმის დამატებით დროში მსაჯის სასტვენის „აკომპანიმენტის“ ქვეშ მოახერხეს...

და, მადლობა ვუთხრათ ჩვენს მამაც, ჩვენს ლამაზ, ჩვენს მუხლმაგარ ბიჭებს—სიხარული რომ აჩუქეს „დინამო არენას“, სრულიად საქართველოს!

ფრე 1:1. გამარჯვების ტოლფასი ფრე!

* * *

ანუ: ჩემპიონატის პირველი ეტაპი ჩვენმა ბიჭებმა შთაბეჭდავი წარმატებით დაასრულეს. ერთი მოგება, ორი ფრე, ბურთები 5-3-თან, 5 ქულა, პირველი ადგილი.

გილოცავთ!

გავხედოთ მომავალს იმედის თვალით!

* * *

ჩვენი ბიჭები ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდნენ პირველი ადგილით!

გილოცავთ ყველას, ყველას, ყველას!

იხაროს დიდი ქართული ფეხბურთის ნერგმა!

დავესესხებით საქართველოს 21 წლამდე ნაკრების მთავარ მწვრთნელს (აბა, ვის მას თუ არა!) რამაზ სვანაძეს და მრავალრიცხოვან გულშემატკივრის გულგასახარად გავიმეორებთ აგრე ნანატრ სიტყვებს: „ბიჭებმა მოახერხეს სასურველი შედეგის ჩვენება, მათი მონდომება დასაფასებელია.

ახლა მთავარია ოლიმპიადაზე მოხვედრა. ეს ჩვენი ბიჭების (და არა მხოლოდ მათი) ოცნებაა. ისინი მზად არიან სანუკვარი საგზურის მოსაპოვებლად“.

ვნახოთ.

ბურთი მრგვალია!

ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“...

მომავალზე ფიქრის უფლება ყველას გვაქვს.

ნუგზარ გამყრელიძე

P. S. მეოთხედფინალში ჩვენი ნაკრები ისრაელელთა 21 წლამდელებს შეხვდა. ბიჭებმა ყველაფერი იღონეს, ტოლი არ დაუდეს მოპაექრეთ, მაგრამ, გილგარეშის ეპოსიდან მოხმობილი ფრაზა ამომწურავ პასუხს გვცემს: „მე მსურდა, მაგრამ არ სურდათ ღმერთებს!!!

ორი ძირითადი და ორიც დამატებითი ტაიმის განმავლობაში ჭიდილის მიუხედავად, ნულოვანი საყაიმო შედეგი, შემდეგ საპენალტო დარტყმებმა მიიყვანა გამარჯვებულის გამოვლენამდე, სადაც ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა იმარჯვეს...

ჩემპიონატის ფინალი ბათუმში 8 ივლისს გაიმართება.

ივლისი

7—შობა წმ. იოანე ნათლისმცემლისა
12—პეტრე-პავლობა
13—სვეტიცხოვლობა
15—ვლაქერნობა

მძიმე და ტკივილიანი სასწავლო წლის დასასრული გვქონდა ზედა ალისუბნის საბავშვო ბაღში. დავკარგეთ ჩვენთვის ძვირფასი და უსაყვარლესი ქალბატონი **ნატო აბულაძის** სახით, რომელიც მისაბაძი ადამიანი იყო თითოეული ჩვენთაგანისათვის...

ვუსამძიმრებთ ოჯახს და ახლობლებს. ვუსურვებთ ამ ტკივილის გამძლეობას... მის სულს ცათა სასუფეველი ზეციურ საქართველოში.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა

გუნდის მთავარი მწვრთნელი **რამაზ სვანაძე.**

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა კუტალაძე (დინამო, თბილისი), ნოდარ ყალიჩავა (სამგურალი).

მცველები: ცოტნე კაპანაძე (საბურთალო), გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი დონეცკი, უკრაინა), ივა გელაშვილი (საბურთალო), სანდრო კალანდაძე (დინამო, თბილისი), ჯემალ-გიორგი ჯინჯოლავა (საბურთალო), საბა ხვადაგიანი (დინამო, თბილისი), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), საბა საზონოვი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი).

ნახევარმცველები / თავდამსხმელები: ოთარ მამაგეიშვილი (საბურთალო), გიორგი წიტაიშვილი (ლეხ პოზნანი, პოლონეთი), ნიკა ხორხელი (სამგურალი), გაბრიელ სიგუა (დინამო თბილისი), ნიკა გაგნიძე (ილა გორი), გიორგი მოისწრაფიშვილი (დინამო თბილისი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბილისი), ლუკა გაგნიძე (დინამო მოსკოვი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი), ნოდარ ლომინაძე (სამგურალი), გიორგი გულიაშვილი (სარაევო, ბოსნია და ჰერცეგოვინა), გიორგი გაგუა (რეალ უნიონი, ესპანეთი).

გაფართოებული სიის სამი წევრი - გიზი მამაგეიშვილი (საბურთალო), ლევან თანდილაშვილი (თელავი) და შოთა ნონიკაშვილი (საბურთალო), ევროპის ჩემპიონატამდე გუნდებთან ერთად ემზადებიან და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარებიან ახალგაზრდულ ნაკრებს.

* * *

გაფართოებულ სიაში მყოფმა ფეხბურთელებმა - გიორგი მიქაუტაძემ და ხვიჩა კვარაცხელიამ, შემადგენლობაში არყოფნის მიზეზებზე საკუთარი სოციალური მედიის არხებით ისაუბრეს.

ხვიჩა კვარაცხელია („ფეისბუქის” პოსტი):

„დიდი პატივია, ვიყო იმ გუნდის გაფართოებული შემადგენლობის წევრი, რომელიც რამდენიმე დღეში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. ჩემთვის ყველაზე ხანგრძლივი საფეხბურთო სეზონის შემდეგ რთულია დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში კვლავ ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაზე თამაში. ამიტომ, მსურს გულშემატკივარმა ჩემგან იცოდეს ჩემი პოზიციის შესახებ. სურვილის მიუხედავად, რთული სეზონის შემდეგ სპორტული მიზეზების გამო 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე მეც თქვენთან ერთად, ჩვენი ნაკრების რიგითი გულშემატკივარი ვიქნები. ახლა სრულად კონცენტრირებული ვარ იმ თამაშებზე, რომელიც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს კვიპროსისა და შოტლანდიის წინააღმდეგ ელოდება.

ყველას დიდი წარმატება მინდა ვუსურვო, ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, ჩემს გუნდელებს, მთელ ნაკრებს, სამწვრთნელო შტაბს და საქართველოს.“

გიორგი მიქაუტაძე („ინსტაგრამის” პოსტი):

„ბევრი გულშემატკივარი ელოდება ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატს, რომელიც საქართველოში გაიმართება. ძალიან გამიხარდა, როდესაც ჩემი სახელი შემადგენლობაში ვნახე, ამისთვის მადლობა მინდა გადავუხადო 21-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს და გულშემატკივარს. მათი თანადგომა ძალიან მნიშვნელოვანია.

რთული საფეხბურთო სეზონის შემდეგ მინდა იცოდეს გულშემატკივარმა, რომ ახლა სრულად მოახლოებულ სანაკრებო მატჩებზე ვფიქრობ და ასეთი დატვირთული რეჟიმის გამო მოახლოებულ ახალგაზრდულ ჩემპიონატზე თამაში რთული იქნება. წარმატება საქართველოს. დარწმუნებული ვარ, ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ საუკეთესო შედეგისთვის, მათ ამის კარგი გამოცდილება აქვთ.“

„გეკაფოთ-რაც ულრანია, აგევსოთ რაც ხარვეზია“...

გალაკტიონი

დიდი სურვილი გვქონდა, რომ ჩვენს გაზეთს რაღაც სამახსოვრო გაგვეკეთებინა ჩვენი საჯარო სკოლების 2023 წლის კურსდამთავრებულებისათვის...

გადავწყვიტეთ, რომ გულწრფელ მილოცვასთან ერთად, კარგი იქნებოდა, თუ ყველა კურსდამთავრებულთა ჯგუფურ იმ სურათებსაც გამოვაქვეყნებდით, რომლებიც მათ ბოლო ზარის დღეს გადაიღეს...

გაზეთის წინა ნომერში ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ გოდოგნის, გოგნის, ეწრის, ბარდუბნის, რუფოთისა და ჩხარის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა სურათები, რასაც კარგი გამოხმაურება მოჰყვა.

ამჯერად გთავაზობთ ზედა სიმონეთის, ძევრის, ჭოგნარის, ქვ. სიმონეთის №1 და ღვანკითის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა ფოტოებს.

თერჯოლის მომდევნო ნომერში სხვა კურსდამთავრებულთა სურათებსაც იხილავთ.

გილოცავთ! წარმატებების გზით გევლოთ!..

„თერჯოლა“

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა

ჭოგნარის საჯარო სკოლა

ძევრის საჯარო სკოლა

ქვ. სიმონეთის №1 საჯარო სკოლა

ღვანკითის საჯარო სკოლა

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872